საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპრაშიანი

კაპრაშიანი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), მდ. თეძმის ხეობაში. ზ. დ. 700 მ, კასპიდან 19 კმ, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 კმ. 34 მცხ. (2014).

სოფლის სამხრ.-დას-ით, მდ. თეძმის მარჯვ. ნაპირზე, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების საქრისის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.